კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“ სამართალდამცავ ორგანოებს ეკა მიშველაძის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებს

8 სექტემბერს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ სტუმრობისას საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტმა, ეკა მიშველაძემ მასზე განხორციელებული თვალთვალის შესახებ განაცხადა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური თოქშოუს „პირველი სტუდიის“ ავტორმა და წამყვანმა მასზე და მის მეუღლეზე, ოპოზიციური პარტიის, „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერ, ალექსი პეტრიაშვილზე განხორციელებული თვალთვალის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია საჯაროდ დაადასტურა. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაციასაზოგადოებრივ მაუწყებელზე ეკა მიშველაძის საავტორო გადაცემის „პირველი სტუდიის“ დახურვასთან დაკავშირებით. 4 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მრჩეველმა, ბასა ჯანიკაშვილმა განაცხადა, რომ ეკა მიშველაძეს ალექსი პეტრიაშვილზე დაქორწინების გამო ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუმცა საზოგადოებრივ მაუწყებელს ამ საკითხზე ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

ეკა მიშველაძესთან დაკავშირებულ შემთხვევაში კონტექსტს ამძიმებს ის გარემოებაც, რომ საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტთან ერთად, თვალთვალი, სავარაუდოდ, ხორციელდებოდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერზეც.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტებზე ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ეჭვი გაჩნდა. 2014 წლის მაისში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში აღმოაჩინეს ფარული ვიდეო აპარატურა. სამწუხაროდ, დღემდე არ არის ცნობილი ინფორმაცია ამ საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რაც ამ მიმართულებით სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტურ საქმიანობაზე მიუთითებს.

კამპანიაში „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“ ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ დაიწყონ ჟურნალისტის საჯარო განცხადების საფუძველზე გამოძიება და თუ ადგილი ჰქონდა უკანონო თვალთვალსა და მიყურადებას, დამნაშავეები გამოავლინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებას დაეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყანაში ჟურნალისტური საქმიანობისა და ოპოზიციური პოლიტიკური საქმიანობის გამო მოქალაქეების თვალთვალსა და მათზე განხორციელებულ ზეწოლაზე.